

საზღვაო ტერმინთა შემოკლებული ფორმები

ნინო ფუტყარაძე

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ასისტენტ პროფესორი, <https://orcid.org/0009-0007-1419-0182>

აბსტრაქტი. დარგობრივ ტერმინოლოგიებში საინტერესოა ტერმინთა ლექსიკოგრაფიული საკითხები, კერძოდ, ტერმინთა გაფორმების წესი. ამ მხრივ საზღვაო ტერმინოლოგიისთვის დამახასიათებელია კონკრეტულ ტერმინთა სიმრავლე და მათი შემოკლებული ფორმები, ანუ აბრევიატურა.

ქართულ საზღვაო კოდექსის მუხლებში კონკრეტული ტერმინთა სიმრავლე და მათი შემოკლებული ფორმები განსაკუთრებით იჩენს თავს.

ამ ლინგვისტური ფენომენის გავრცელებული ფორმებია: აბრევიატურები და აკრონიმები.

აკრონიმი წარმოადგენს შემოკლებულ სიტყვათა ნაერთს, ინგლისურ სალიტერატურო ენაში არსებული სიტყვის მსგავსია და აქვს შესაბამისი მნიშვნელობა. აბრევიატურა გაგებულია, როგორც სიტყვების პირობითი შემოკლება

ინგლისურ აბრევიატურებში გამოვლენილია ძალიან მრავალფეროვანი სიტყვათშემოკლებები, აქ შეიძლება რამდენიმე შემთხვევაზე ვილაპარაკოთ, მაგალითად:

1) ინგლისურ ენაში არსებობს საწყისი ასოებისგან შედგენილი სიტყვათშემოკლებები, რომელიც წარმოითქმება და იკითხება ინგლისური ენის ანბანური სახელების დასახელების მიხედვით. ინგლისურ ენაში აბრევიატურები ძირითადად დიდი ასოებით იწერება, მათთან აღარ იყენებენ სასვენ ნიშნებს, მაგალითად:

VDR –Voyage Date Recorder

TTS –Traffic Separation System

CC – Compass Course

LT – Local Time

ამ ტიპის შემოკლებანი როგორც უკვე აღვნიშნეთ გამოითქმის ცალცალკე ასოების წარმოითქმით. ჩვენ ხშირად გვიძნელდება განსაკუთრებით ახალი ტერმინების ამოშიფვრა რადგან მათში მხოლოდ დასაწყისი სიტყვის ასოებია წარმოდგენილი.

2) ორი სიტყვის თავკიდური მარცვლების შეერთებით მიღებული ახალი შემოკლებული სიტყვა, მაგალითად:

Navicert – Navigation Certificate

Marsec – Maritime security

3) შესამოკლებელი სიტყვიდან პირველი ფუძითაა წარმოდგენილი მეორე სიტყვის ბოლოკიდური მარცვლით, ანუ სუფიქსით, მაგალითად:

Bulker – Bulk Carrier

4) ორ ან მეტ სიტყვიდან პირველი, ან პირველი ორი, სამი სიტყვის შემოკლება წარმოდგენილია მათი საწყისი ასოების შეერთებით, ბოლო სიტყვა კი სრული ფორმით, მაგალითად:

MCC room – motor control center room

NR ports – Northern range ports

5) აბრევიატურებს ინგლისურ ენაში ახასიათებს ომონიმების შემთხვევები, ისინი გვხვდება საზღვაო სფეროშიც, მაგალითად:

1.LT – Low tension

LT – Local Time

2.BC – Birth Certificate

B.C. – Bulk Cargo

3.TA – Travel Agent

TA – Travel Agency

TA – Time of Arrival

TA – Telegraphic Address

აქ ორმაგი სირთულის წინაშე ვდგავართ. აბრევიატურებისთვის არა მარტო სწორი ეკვივალენტების შერჩევა გვევალება, არამედ მათი ზუსტი, სრული მნიშვნელობის გარკვევა, რათა თავიდან ავიცილოთ შემდგომი უზუსტობანი.

6) შესამოკლებელ სიტყვათა პირველი ასოების შეერთება, რომელიც წარმოითქმება როგორც ერთი მთლიანი სიტყვა ანუ აკრონიმების ფორმით, მაგალითად:

1.LASH – Lighter Abroad Ship

2.OBO – Ore, Bulk, Oil ship

საზღვაო ტერმინოლოგიაში შემოკლების ფორმები განპირობებულია ადგილისა და დროის ეკონომიით, გრძელსიტყვაობის მოკლედ გადმოცემის პრაქტიკული საჭიროებით. ქართულ ზეპირ მეტყველებაში ინგლისური შემოკლებანი გადმოდის ტრანსლიტერაციისა და სესხების საშუალებით. საქართველოს საზღვაო კოდექსში მრავლადაა აბრევიატურის გამოყენების მაგალითი, რადგან მისი ქართული ეკვივალენტი მრავალსიტყვიანია, ამიტომ გამოიყენება ერთი ინგლისური აბრევიატურა, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული. ტერმინოლოგიური მუშაობისადმი ინტერესი განსაკუთრებით იზრდება დღეს, რადგან ქართულ საზღვაო ტერმინოლოგია დღითიდღე იზრდება ინგლისური ტერმინების შემოდინებით.

საკვანძო სიტყვები: შემოკლებული ფორმები, აბრევიატურა, აკრონიმი, საზღვაო ტერმინები.

შესავალი. დარგობრივი ლექსიკა ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, ის გულისხმობს სხვადასხვა დარგის ლექსიკონების შედგენას, მაგ. საზღვაო ტერმინოლოგიის ლექსიკონი, სამხედრო ტერმინოლოგიის ლექსიკონი, იურიდიული ტერმინოლოგიის ლექსიკონი, და მრავალი სხვა. დარგობრივ ტერმინოლოგიებში საინტერესოა ტერმინთა ლექსიკოგრაფიული საკითხები, კერძოდ, ტერმინთა გაფორმების წესი. ამ მხრივ ინგლისური საზღვაო ტერმინოლოგიისთვის დამახასიათებელია კონკრეტულ ტერმინთა სიმრავლე და მათი შემოკლებული ფორმები, ანუ აბრევიატურა, რომელიც ხშირ შემთხვევაში ქართულ ენაში გადმოდის ტრანსლიტერაციით ან სესხებით რადგან მისი ქართული ექვივალენტი მრავალსიტყვიანია, ამიტომ გამოიყენება ერთი ინგლისური აბრევიატურა, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული. შემოკლება მეტყველების ელიფსური ფორმაა და ბუნებრივად წარმოიშობა ზეპირ, განსაკუთრებით კი წერით მეტყველებაში. აზრის მოკლე და სხარტი გადმოცემა ან დროის მაქსიმალური გამოყენების აუცილებლობა, საფუძველს უყრის კონკრეტულ დარგში ახალი შემოკლებული სიტყვების შექმნასა და დამკვიდრებას. შემოკლებული ფორმის სიტყვების გავრცელების არეალი ძალიან ფართოა, სიტყვათშემოკლებების გამოყენება ჩვეულებრივ ამზად იქცა ჟურნალ-გაზეთებში, სამეცნიერო-ტექნიკურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ლიტერატურაში, სამხედრო და საზღვაო ნაშრომებში. ქართულ საზღვაო ლიტერატურასა და ასევე საზღვაო კოდექსის მუხლებში კონკრეტულ ტერმინთა სიმრავლე და მათი შემოკლებული ფორმები განსაკუთრებით იჩენს თავს.

მეთოდები. ნაშრომი ძირითადად ემყარება აღწერით მეთოდს, მოიცავს ლინგვისტური მასალის ანალიტიკური დაკვირვებისა და სემანტიკური ანალიზის მეთოდებს.

შედეგები და მსჯელობა. სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების შემოკლების ხელოვნება, აბრევიატოლოგია – გამოყენებითი ლინგვისტიკის ერთ-ერთი თანამედროვე დარგია. ამ ლინგვისტური ფენომენის გავრცელებული ფორმებია: აბრევიატურები და აკრონიმები.

აკრონიმი წარმოადგენს შემოკლებულ სიტყვათა ნაერთს. ინგლისურ სალიტერატურო ენაში არსებული სიტყვის მსგავსია და აქვს შესაბამისი მნიშვნელობა. აბრევიატურა გაგებულია, როგორც სიტყვების პირობითი შემოკლება.

ინგლისურ აბრევიატურებში გამოვლენილია ძალიან მრავალფეროვანი სიტყვათშემოკლებები. აქ შეიძლება რამდენიმე შემთხვევაზე ვილაპარაკოთ, მაგალითად:

1) ინგლისურ ენაში არსებობს საწყისი ასოებისგან შედგენილი სიტყვათშემოკლებები, რომელიც წარმოითქმება და იკითხება ინგლისური ენის ანბანური სახელების დასახელების მიხედვით. ინგლისურ ენაში აბრევიატურები ძირითადად დიდი ასოებით იწერება, მათთან აღარ იყენებენ სასვენ ნიშნებს, მათში გამოყენებული წინდებულები (of – ის; on – ზე და ა.შ.) არ მოკლდება, მაგალითად:

- 1.VDR –Voyage Date Recorder
- 2.TTS –Traffic Separation System
- 3.OOW – Officer of Watch
4. E/D – Engine Department

5. IMDG – International Maritime Dangerous Goods
6. ETA – Estimated Time Of Arrive
7. ETD – Estimated Time Of Departure
8. PCC – PURE Car Carrier
9. SSP – Ship Security Plan
10. NB – Navy Base
11. SMS – Safety Management System
12. ATM – Automatic Teller Machine
13. SSO – Ship Security Officer
14. UT – Universal Time
15. TMS – Traffic Management system
16. TA – Time of Arrival
17. CC – Compass Course
18. LT – Local Time
19. TDC – Top Dead center
20. BDC – Bottom dead center

ამ ტიპის შემოკლებანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოითქმის ცალ-ცალკე ასოების წარმოთქმით. ჩვენ ხშირად გვიძნელდება განსაკუთრებით ახალი ტერმინების გაშიფვრა, რადგან მათში მხოლოდ სიტყვის დასაწყისი ასოებია წარმოდგენილი.

2) ინგლისურ ენაში არსებობს ორი სიტყვის თავკიდური მარცვლების შეერთებით მიღებული ახალი შემოკლებული სიტყვები:

1. Navicert – Navigation Cetificate
2. Marsec – Maritime security
3. Westmed – Western Mediterranean
4. Sitrep – Situation Report

3) შესამოკლებელი სიტყვიდან პირველი ფუძითაა წარმოდგენილი, მეორე – სიტყვის ბოლოკიდური მარცვლით, ანუ სუფიქსით:


1. Bulker – Bulk Carrier
2. Roller – Roll on carrier

4) ორი ან მეტი სიტყვიდან პირველი, ან პირველი ორი, სამი სიტყვის შემოკლება წარმოდგენილია მათი საწყისი ასოების შეერთებით, ბოლო სიტყვა კი სრული ფორმით:

1. MCC room – motor control center
2. N R ports – Northern range ports
3. ID card – Identification card.
4. P. Charges – particular charges
5. Z Time – Zone Time
6. W/W days – Weather Working days
7. AC generator – Alternating Current Generator
8. DC generator – Direct Current Generator

- 9.AC/DC converter – Alternating Current/ Direct Current converter
- 10.AC circuit – Alternating Current Circuit
- 11. DC circuit – Direct Current Circuit
- 12. B/C-Bulk carrier
- 13. C/P- Charter Party
- 14. HW: High water
- 15. SB: Safe berth

5) ინგლისურ ენაში აბრევიატურებში უხვადაა ომონიმების შემთხვევები:



→	10.P.D.	port dues
→	p.d.	per day

აქ ორმაგი სირთულის წინაშე ვდგავართ. აბრევიატურებისთვის არა მარტო სწორი ეკვივალენტის შერჩევა გვევალება, არამედ აბრევიატურების ზუსტი, სრული მნიშვნელობის გარკვევა, რათა თავიდან ავიცილოთ შემდგომი უზუსტობანი.

6) შესამოკლებელ სიტყვათა პირველი ასოების შეერთება, რომელიც წარმოითქმება როგორც ერთი მთლიანი სიტყვა ანუ აკრონიმების ფორმით:

1. LASH – Lighter Abroad Ship
2. OBO – Ore, Bulk, Oil ship
3. PIN – Personal Identification Number
4. BIBO – Bulk in Bags out
5. laser – Light Amplification by Stimulated Emission of Radiation;
6. scuba - Self-Contained Underwater Breathing Apparatus
7. radar – Radio Detection and Ranging
8. LOLO: Lift on – lift off
9. ROB: Remaining on board
10. SAR: Search and Rescue
11. SOF: Statement of facts

საზღვაო ტერმინოლოგიაში შემოკლების ფორმები განპირობებულია ადგილისა და დროის ეკონომიით, გრძელსიტყვაობის მოკლედ გადმოცემის პრაქტიკული საჭიროებით, ენობრივი ეკონომიის არსი ისაა, რომ ტექსტში სწრაფი წვდომის ინფორმაციულობის მყისიერი მიღწევა თვით ტექსტის შემოკლების ხარჯზე ხდება, მცირდება ბეჭდვითი სიტყვის მოცულობა. სიტყვათშემოკლებების დიდი ნაწილი სწორედ ამ გზით შემოიჭრა ქართულ საზღვაო ტერმინოლოგიაში და მათი რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. ზოგიერთი მათგანი ძალიან მარტივად, წინასწარი განმარტებების გარეშე დამკვიდრდა ქართულ საზღვაო ნაშრომებში. საზღვაო კოდექსის მუხლებში მრავლადაა აბრევიატურის გამოყენების შემთხვევები, რადგან მისი ქართული ეკვივალენტი მრავალსიტყვიანია, ამიტომ გამოიყენება ერთი ინგლისური აბრევიატურა, როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული.

დღესდღეობით ინგლისური აბრევიატურები ქართულ ენაში შემოდის ორი ძირითადი გზით, ეს არის ტრანსლიტერაცია და აბრევიატურების სესხება. ინგლისური საზღვაო სიტყვათშემოკლებების ყველაზე დიდი რაოდენობა ქართულში უცვლელი ფორმითაა გადმოტანილი. უცხო ენაზე არსებული შემოკლებული სიტყვების შიფრების თარგმნა, ქართული ეკვივალენტების შექმნის ტენდენცია მეტ-ნაკლებადაა გავრცელებული, ხოლო აბრევიატურების ტრანსლიტერაცია ერთეულ შემთხვევებში ვლინდება. თუ აბრევიატურის ტრანსლიტერაციას მივმართავთ, მაშინ ყურადღება უნდა გავამახვილოთ მისი გრაფიკული, ხმოვანი ფორმის ზუსტ გადმოტანაზე:

NATO (The North Atlantic Treaty Organization) - როგორც „ნატო“ .

IMO (International Maritime Organization) - როგორც „აიმო“.

PIN – (Personal Identification Number) - როგორც „ფინი“.

PR (Public Relations) - „ფიარ“-ი;

ასევე საყურადღებოა ისეთი შემთხვევა, როცა ინგლისური აბრევიატურის ფორმას ქართულ ენაზე გადმოცემისას ერთ ან მეტ ასოს რამდენიმე ვარიანტი აქვს. ამგვარი დამოკიდებულების კარგი ნიმუშია აბრევიატურა — „PR“ და „PIN“, რომელთა ტრანსლიტერირებულ ქართულ ვარიანტებში ორი ფორმა „პიარ“, „ფიარ“ და „პინი“, „ფინი“ გვხვდება. ჩვენი აზრით, რადგანაც ტერმინი ტრანსლიტერირებულია ინგლისური ენიდან და ტრანსლიტერაციაც გრაფიკული თუ ხმოვანი ფორმის ზუსტ გადმოტანას გულისხმობს ქართულ ენაზე, უმჯობესია უპირატესობა მივანიჭოთ ზედმიწევნით მიახლოებულ ვარიანტს, ამ შემთხვევაში „ფიარ“-ს და „ფინ“-ს. საყურადღებოა, ინგლისური ენის ორთოგრაფიული და ფონეტიკური წესები.

მეორე ხშირი ტენდენცია, რომელიც აბრევიატურებისა და აკრონიმების ლათინური ფორმით გადმოტანას გულისხმობს არის აბრევიატურების სესხება. ინგლისური საზღვაო სიტყვათშემოკლებების დიდი ნაწილი სწორედ ამ გზით შემოიჭრა ქართულ ენაში და მათი რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. ჩვენ ხშირად გვხვდება მსგავსი ფორმით გავრცელებული აბრევიატურები:

VDR –Voyage Date Recorder

TTS –Traffic Separation System

OOW – Offocer of Watch

E/D – Engine Department

ცალკე უნდა გამოიყოს ტერმინოლოგიური ნომინაციის ერთი სტრუქტურული ტიპი – სიმბოლური დასახელებანი, ეს გახლავთ ასოებით, ციფრებით, ფორმულებით, სქემებით, ნახატებით და ა.შ. გამოხატული სახელწოდებანი.

საზღვაო სფეროში საკმაოდ ხშირად გამოიყენება არავერბალური კომუნიკაცია– „სიმბოლური დასახელებანი“, რომლებიც ხორციელდება ფონეტიკური ანბანის გამოსახულებით ალმებზე – სასიგნალო ალმების აღმართვით. საერთაშორისო სასიგნალო ალმებს ზღვაში გასული გემები იყენებენ. სიგნალებს მსოფლიოს ყველა ენაზე ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ. სხვადასხვა ალამი გამოიყენება ანბანის ყოველი ასოსთვის. ფონეტიკური ანბანი პირველად გამოჩნდა „The Bluejackets' Manual “ –ის 1913 წლის გამოცემაში. შემდეგ ის დაუკავშირეს დროშებს. დროშების მნიშვნელობა და მათი სახელების არჩევა მოხდა საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. როგორც უკვე ვთქვით ეს დროშები არის საერთაშორისო სიგნალები, გამოიყენება მოკლე შეტყობინების გადასაცემად. თითოეული დროშა გამოხატავს შეტყობინებას. მაგალითებს ვიმოწმებთ საქართველოს საზღვაო კოდექსიდან :

მუხლი 15

საზღვაო ლოცმანის გამოძახება

1. გემს, რომელიც იძახებს საზღვაო ლოცმანს, აღმართული უნდა ჰქონდეს შესაბამისი ალამი – „G“ (მე მჭირდება ლოცმანი).

მუხლი 16

7. გემზე საზღვაო ლოცმანის ყოფნის განმავლობაში აღმართული უნდა იყოს შესაბამისი სასიგნალო ალამი – „H“ („მე მყავს გემზე ლოცმანი“).

მუხლი 40

7. გემს, რომელიც ამუშავებს სახიფათო ტვირთს, ანაზღაურდება უნდა ერთობ არანაკლებ 1 (ერთი) საზღვაო მილის ხილვადობის წითელი წრიული შუქი. დღისით აღმართული უნდა იყოს ალამი „B“.

მუხლი 62

8. საყვინთი სამუშაოების წარმოებისას დღის ნათელ პერიოდში, მყვინთავთა გემზე გამოსაჩენ ადვილას უნდა აღიმართოს ერთი ალამი „A“ (ALFA) („იყავით ჩემგან მოშორებით, მე ვატარებ წყალქვეშა სამუშაოებს“).....

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ აბრევიატურა ერთი რომელიმე ტერმინოლოგიური სისტემის ფარგლები უნდა კეთდებოდეს, თორემ შეიძლება მან თავისი ფუნქცია ვერ შეასრულოს და გაუგებრობის წყაროდ იქცეს.

დასკვნა. დასასრულ, გლობალიზაციის პერიოდში, გამომდინარე იქიდან, რომ ინგლისური საერთაშორისო საზღვაო ენადაა აღიარებული, უფრო და უფრო მატულობს სიტყვათშემოკლებების უცვლელი ფორმით გადმოტანის ტენდენცია ქართულში. ამის ერთ-ერთი მიზეზია ინგლისური ენის ლექსიკური ფონდის უწყვეტი ზრდა. ხშირად, სანამ ახალი სიტყვათა შემოკლება ქართულ ენაზე შეიქმნებოდეს, ინგლისური აბრევიატურა ქართულში უკვე შემოსულია და გამოიყენება კიდევ, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ინგლისური ენაზე საზღვაო აბრევიატურა მოითხოვს დამატებით მინიშნებებს, ვინაიდან არის სფეციფიური და მხოლოდ საზღვაო სფეროსთვის დამახასიათებელი.

ქართული სიტყვათშემოკლებების შექმნისას ამოსავალ წერტილად უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ აზრობრივი ეკვივალენტობა, რაც მეცნიერულ ტერმინოლოგიაში მაინც ყველაზე მთავარია, არამედ ისიც, რომ იგი შეძლებისდაგვარად ქართულად ადვილად უნდა გამოითქმოდეს. ამიტომ, ზოგიერთ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებენ ინგლისურენოვანი აბრევიატურების ტრანსლიტერაციას ან მათი უცვლელი ფორმით გადმოტანას, რადგანაც ინგლისურენოვანი აბრევიატურებიდან ქართული ეკვივალენტების წარმოება შეიძლება ქართულ ენაზე მრავალსიტყვიანი იყოს და გამოსათქმელად ძალიან რთული.

ვფიქრობთ, საჭიროა ინგლისური აბრევიატურების ქართულად განმარტება. იქვე გადმოვიტანოთ ორიგინალი, ამ შემთხვევაში ინგლისური აბრევიატურა უცვლელად და ფრჩხილებში დაიწეროს ინგლისური აბრევიატურის შემოკლებელი ფორმაც, რადგან შემოკლებული ტერმინი საფრთხილო ენობრივი ფორმაა და რიგ შემთხვევაში შეიძლება გააბუნდოვნოს ტერმინის შინაარსი. ჩვენ მიერ შემოთავაზებული აბრევიატურების გადმოცემის ეს მიდგომა განსაკუთრებით სასურველია გამოვიყენოთ საზღვაო ხელშეკრულებებში, საზღვაო კოდექსის მუხლებში, სტუდენტთა სახელმძღვანელოებში, ასევე, ზოგადად საზღვაო ლიტერატურის თარგმნის დროსაც, რათა მკითხველს გაუმარტივდეს ტექსტის აღქმისა და გააზრების პროცესი.

გამოყენებული ლიტერატურა

- ღამბაშიძე, რ. (1986) ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები. თბილისი.
- ღლონტი, ა. (1988). ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები. თბილისი.
- რიჭკოვი, რ. (2010). რუსულ-ინგლისურ-ქართული საზღვაო ლექსიკონი. ბათუმი.
- Арнольд, И. В. (1973). Лексикология современного английского языка. Москва.
- Бобин, В. И. (2005). Терминологический справочник капитана по ведению дел и документации на английском языке. Москва.
- Akmajian, A., & Demers, R. (1995). Linguistics an introduction to Language and Communication. Cambridge
- Bezhanovi Z. A., (2010) Guide to Maritime English, Batumi.
- Yule, G., (2006). The study of Language. Cambridge.
- Fromkin, V., & Rodman, R. (2003). An introduction to Language. USA.
- Oxford English Dictionary on Historical Principles (OED). (1989). Oxford University Press.

SHORT FORMS OF THE MARITIME TERMS

Nino Putkaradze

PhD degree in Philology, Assistant Professor of Batumi State Maritime Academy,
<https://orcid.org/0009-0007-1419-0182>

Abstract

One of the Lexicographical issues of the terms are very interesting in the field terminologies, namely the rules of term organizing. In this view point the multiplicity and their short forms i.e. abbreviations are typical for the maritime terminology. Abbreviations and acronyms are most widespread linguistic forms of this phenomena.

Acronym is the type of shortened word, similar to the word existing in the English language and has an appropriate meaning. Abbreviation is the conditional contraction of the word.

There are many English abbreviations used in Georgian marine agreements and maritime codes, in students' textbooks, as well as in Georgian maritime literature, here we talk only about some of them. For example:

1) There are abbreviations composed by the first letters of the terms, which are pronounced and read in an alphabetical manner. Abbreviations are written with the capital letters in English language, punctuation signs are not used with them and prepositions used in this term are not contracted in the abbreviation, for example:

VDR –Voyage Date Recorder

TSS –Traffic Separation System

CC – Compass Course

LT – Local Time

Such kind of abbreviations, as we already mentioned are pronounced separately by letters. Reading of the new terms is quite difficult for us as only the first letters of the words are presented.

2) Words composed by the beginnings of two words, for instance:

Navicert – Navigation Certificate

Marsec – Maritime security

3) The first part is presented by a root and another one by suffix in the following example:

Bulker – Bulk Carrier

4) From two or more words, the first ones are represented by abbreviations and the last one by its full form, for instance:

MCC room – motor control center room

5) The examples of English homonyms are widely used in Georgian maritime sphere, for example:

1. LT – Low tension

LT – Local Time

2. BC – Birth Certificate

B.C. – Bulk Cargo

3. TA – Travel Agent

TA – Travel Agency

TA – Time of Arrival

TA – Telegraphic Address on

Here we face the double complexity as we need to choose not only a correct equivalent for the abbreviations but to find their full meanings also. Both of them are necessary in order to avoid further incorrectness and misunderstanding.

6) Combination of the first letters of the words which is pronounced as a whole word, i.e. Acronym, for example:

1. LASH – Lighter Abroad Ship

2. OBO – Ore, Bulk, Oil ship

In the maritime terminology the short forms take place in order to save place and time. Transliteration and borrowing are the methods of transferring English abbreviations into Georgian conversation. There are many examples of using abbreviations in Georgian maritime code, as there are many equivalents of the term in Georgian English abbreviation is used as an independent lexical unit.

In conclusions it can be said that interest towards the working with terminology is especially growing nowadays. Results of the paper are the most important information on the vocabulary fund its perspectives and potential for the researchers interested in lexicography and study of terms.

Keywords: Abbreviations, Acronyms, Maritime terms, Short forms.